ბალანსი გათანაბრდა

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 12 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) - “სპარტაკი” (მოსკოვი) - 3:0 (1:0).

“დინამო”: სტეფანია, პეტრიაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხინჩაგაშვილი, კუტივაძე, გავაშელი, მაჩაიძე, გუცაევი, ყიფიანი (ფ. რეხვიაშვილი), ლ. ნოდია.

“სპარტაკი”: ბაუჟა, ლოგოფეტი, ზენკოვი, ოლშანსკი, აბრამოვი, კისელიოვი, მირზოევი (კალინოვი), რედინი, პისკარიოვი (ოსიანინი), პაპაევი, სილაგაძე.

მსაჯი: კ. ანძიულისი (კაუნასი).

დუბლიორები - 4:2 “დინამოს” სასარგებლოდ. ამ მატჩში თბილისელთა მეკარემ თ. მოსეშვილმა 2 პენალტი აიღო.

რა შეეძლო მოეტანა ამ მატჩს მეტოქეთათვის, რისთვის უნდა ებრძოლათ მოწინააღმდეგე მხარეებს? თბილისელებს ყველა შემთხვევაში განაღდებული ჰქონდათ III ადგილი. სატურნირო ცხრილში ისინი ვერაფრით ვერც იუმჯობესებდნენ და ვერც იუარესებდნენ მდგომარეობას. სპარტაკელებისთვის კი 2 ქულას შეეძლო მოეტანა IV ადგილი. ამას გარდა, ისინი მოსკოვის გუნდებს შორის საუკეთესონი იქნებოდნენ, ესე იგი, ფაქტიურად დედაქალაქის ჩემპიონები ხდებოდნენ.

გამოდის, რომ, თუ სტიმულზე ვილაპარაკებთ, იგი “სპარტაკს” მეტი ჰქონდა, თუმცა იყო კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც მატჩს გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდა დინამოელთათვის. ჩვენ, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვართ მათი საპრიზო ადგილით, მაგრამ გულში მაინც ხინჯად რჩებოდა ის ამბავი, რომ გუნდმა გატანილი და მიღებული ბურთების უარყოფითი ბალანსით მიაღწია ბრინჯაოს მედლებს და ამ ხარვეზის გამოსწორებისთვის ღირდა ძალების სრული დაძაბვით თამაში.

მატჩის დასაწყისი მაინცდამაინც არ გვპირდებოდა, რომ თბილისელები საწადელს მიაღწევდნენ. ბურთი უმთავრესად მინდვრის შუაგულში ტრიალებდა. ყიფიანის, კუტივაძის, მაჩაიძის რამდენიმე შორეული ბურთი იოლად აიღო ბაუჟამ მაგრამ გზა დიდი ანგარიშით მოგებისკენ საკმაოდ უცებ და მოულოდნელად გაიხსნა: მე-16 წუთზე გუცაევმა მარჯვენა ფლანგიდან მიაწოდა ბურთი საჯარიმო მოედანზე, იქ მას დაეუფლა ყიფიანი და წინ გავიდა. “დინამოს” ცენტრფორვარდთან ბრძოლაში ზენკოვმა სცადა მეკარისთვის მიეწოდებინა ბურთი, ბაუჟამ ვერ გაუგო პარტნიორს, შეფერხდა, ბურთი კი კარში გავიდა.

ტაიმის დასასრულამდე მოსკოველებმა ვერ შეძლეს კონტრთამაშის შექმნა. ისინი სისტემატურად აგებდნენ ბრძოლას მინდვრის ცენტრში, სადაც ძალიან ძლიერი იყო მაჩაიძე. ამას გარდა, საკმარისი იყო ბურთი გუცაევს მიეღო და “სპარტაკის” მთელი დაცვა თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ვარდებოდა. ოლშანსკი აბსოლუტურად უმწეო იყო ახალგაზრდა თბილისელთან ორთაბრძოლისას, ამიტომ მას ეხმარებოდა აბრამოვი, ცენტრალურ ზონაში კი სიცარიელე რჩებოდა, რომელიც ნახევარმცველთა ხარჯზე უნდა შევსებულიყო. ასეთი განლაგებით სტუმრები მხოლოდ იგერიებდნენ მეტოქის იერიშებს.

შესვენების შემდეგ მოსკოველებმა მინდორზე გამოიყვანეს კალინოვი და ოსიანინი, რამაც საგრძნობი ცვლილება შეიტანა თამაშში. ეს ორი ფეხბურთელი აქტიურად ჩაება შეტევაში, მათ აჰყვნენ სხვებიც და თითქმის 30 წუთის მანძილზე დინამოელთა დაცვას დიდი დატვირთვა დააწვა. აქ თავისი სიტყვა თქვა ჭელიძისა და ხინჩაგაშვილის მაღალმა ოსტატობამ, სტეფანიას, ებრალიძისა და პეტრიაშვილის თავგამოდებამ. სახეირო

თითქოს არაფერი ჩანდა, როცა ვითარება უცბად შეიცვალა და სპარტაკელთა დაცვამ მეორე საბედისწერო შეცდომა დაუშვა. მარჯვენა ფრთიდან მოწოდებულ ბურთზე სწრაფად გავიდა ნოდია. ამ მომენტში ლოგოფეტმა სცადა მდგომარეობის ხსნა, ძლიერად დაარტყა, ბურთი ზურგში მოხვდა ნოდიას და რიკოშეტით გავიდა კარში.

ამის შემდეგ თამაში თითქმის სულ "სპარტაკის" კართან იყო და ეს 15 წუთი ერთ მატჩად ღირდა. კუტივაძის უძლიერესი დარტყმები ორჯერ მოხვდა ძელს, საგოლე პოზიციაში იყვნენ რეხვიაშვილი, მაჩაიძე, გუცაევი, შტურმი შტურმს მოსდევდა და ბოლოს, 78-ე წუთზე, მოსახდენი მოხდა: ნოდიამ ზუსტი დარტყმით გაგზავნა ბურთი ბაუჟას კარში. მატჩი მოვიგეთ და ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა გაასწორა თავისი უარყოფითი ბალანსი.

აქ ერთ ფაქტსაც გვინდა გავუსვათ ხაზი: ფეხბურთის სტატისტიკოსმა ბ. ესაკიამ დაადგინა, რომ სსრ კავშირის 33 ჩემპიონატის ისტორიაში მოსკოვის "სპარტაკს" თბილისის "დინამოსთვის" დიდი ანგარიშით მოუგია 9-ჯერ, თბილისელებს კი ასეთი გამარჯვება არ ჰქონიათ 1971 წლის 12 ნოემბრამდე. ახლა ეს ხარვეზიც გამოსწორდა.

მ. ჩიხლაძე.

"ლელო", 14 ნოემბერი, 1971 წ.